

პასუხობს ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში

საკითხი ეხება -**ობ** სუფიქსით ნაწარმოებ ისეთ ნასახელარ ზმნებს, რომლებიც თანამედროვე ქართულში დრო-კილოთა აწმყოს წყებაში იმავე სახელის ფუძისაგან **უ-¹** პრეფიქსითა და -**ებ** სუფიქსით ნაწარმოებ ზმნათა ფუნქციით იხმარებიან, სახელდობრ: **პასუხობს//უპასუხებს, საყვედურობს//უსაყვედურებს, კარნახობს//უკარნახებს, პატაკობს//უპატაკებს** ზმნებს.

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი (-**ობ** სუფიქსიანი) და არც მეორე (**უ-** პრეფიქსითა და -**ებ** სუფიქსით გაფორმებული) ფუძე, დრო-კილოთა აწმყოს წყებაში ქართულისათვის უცხო არ არის, მაინც ისმის საკითხი ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე მოცილუ ფორმათა რაობისა და სალიტერატურო ენაში მათი ადგილის შესახებ. გზადაგზა საუბარი იქნება მსგავსი წარმოების სხვა ზმნებზედაც.

1. სახელის ფუძისაგან -**ობ** სუფიქსით ზმნათა წარმოება თანამედროვე ქართულში ფართოდ არის გავრცელებული. შედარებით იშვიათად გვხვდება ასეთი ზმნები ძველ ქართულში². -**ობ** სუფიქსით ნაწარმოებ ზმნათაგან ზოგი ერთპირიანია, ზოგი კი — ორპირიანი. ერთპირიან ზმნათა რიცხვი დიდია, ორპირიანებისა — შეუდარებლად მცირე. ერთპირიანი ნასახელარი ზმნებია: **მეფ-ობ-ს ის, დარდ-ობ-ს ის, წამლ-ობ-ს ის, მკურნალ-ობ-ს ის, მასპინძლობ-ს ის, ხელმძღვანელ-ობ-ს ის** და სხვ. ორპირიანი ნასახელარი ზმნებია: **მ-პატრონ-ობ-ს ის მას, ს-წამლ-ობ-ს ის მას, მკურნალ-ობ-ს ის მას, მასპინძლ-ობ-ს ის მას, ხელმძღვანელ-ობ-ს ის მას** და სხვ.

სუბიექტის გარდა სხვა პირის (ეს პირი ი რ ი ბ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ო პირია) არსებობა ზმნაში სათანადო თავსართებით გამოიხატება. კერ-

¹ უ-სთან ერთად ცალკე მაწარმოებლად აღარ ვასახელებთ ი ხმოვანულმენტს, რომელიც, როგორც ცნობილია, ობიექტური წყობის I და II პირის ფორმებთან ენაცვლება უ-ს. მაგ.: მ-ი-პასუხებს, გ-ი-პასუხებს, უ-პასუხებს (შდრ. სუბიექტური წყობის ფორმები ვ-უ-პასუხებ, უ-პასუხებ, უ-პასუხებს, სადაც სამივე პირში უ ელემენტი გვაქვს).

² ნ. ნათაძე, თემის ნიშნები ქართველურ ენებში: იკე, XI, 1959, გვ. 134.

ძოდ: პირველი ირიბობიექტური პირისა მ- და გვ-, მეორისა — გ-, ხოლო მესამისა — ჰ-, ს- თავსართებით. I და II ირიბობიექტური პირის ნიშანთა პოზიცია ზმნაში მყარია (თუმცა ყველა ზმნა გამოყენების თვალსაზრისით ერთნაირ სურათს არ გვიჩვენებს: ზოგი ნასახელარი ზმნის I და II ირიბობიექტური პირის ფორმებს ენა იშვიათად მიმართავს, უპირატესობას სახელურ-ზმნურ შესიტყვებებს ანიჭებს. მაკ., ნაცვლად მმასპინძლობს, გამასპინძლობს და მხელმძღვანელობს, გხელმძღვანელობს ფორმებისა ვამბობთ მასპინძლობას, ხელმძღვანელობას შიწევს, გიწევს), მესამე პირის ნიშანი კი ადვილად იკარგება, ხან გვაქვს და ხან — არა. სალიტერატურო ენის ნორმების თანახმად, თუკი ფონეტიკური გარემო რაიმე დაბრკოლებას არ ქმნის, III ირიბობიექტური პირის ნიშანი ზმნაში უსათუოდ უნდა იქნეს წარმოდგენილი³.

როცა ფონეტიკური მიზეზების გამო გარკვეული თანხმოვნების წინ მ- და ს- თავსართები ფაქტობრივად წარმოდგენილი არ არის, ერთპირიანი და ორპირიანი ფორმები ზმნისა ერთმანეთს ემთხვევა⁴. ომოფორმულ ერთეულებს შორის სხვაობის დადგენა სინტაქსური კონსტრუქციის საფუძველზე კონტექსტის მიხედვით ხდება. მაგ.: მკურნალობს ის („პროფკავშირული საგზურებით აქ... მკურნალობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ასი კაცი“. „სოფლ. ცხოვრ.“) და მკურნალობს ის მას („კერძო პრაქტიკის პირობებში ექიმი... ავადმყოფს მკურნალობს მანამდე, სანამ ის მასთან დადის“. „კომ.“); ხელმძღვანელობს ის („ძნელი ასახსნელია, რა ეკონომიკური და სოციალური პრინციპებით ხელმძღვანელობენ ეს უბადადებულები საქმოსნები“. „კომ.“) და ხელმძღვანელობს ის მას („მოედანზე თამაშს კაპიტანი ხელმძღვანელობს“. „კომ.“); მასპინძლობს ის („მასპინძლობს საარბრიუკენი“. „კომ.“) და მასპინძლობს ის მას („საქართველო მასპინძლობს მამაცი და გმირი ხალხის შვილებს“. „ცისკარი“) და სხვ.

³ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მიღებული ნორმის თანახმად, III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად მ- პრეფიქსი იხმარება გ, კ, ქ, ბ, პ, ფ, ყ თანხმოვნების წინ, ხოლო ს- პრეფიქსი კი — დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნების წინ. ხმოვნებისა და დანარჩენი თანხმოვნების (ეს თანხმოვნებია ვ, ზ, ლ, მ, ნ, უ, რ, ს, ლ, შ, ხ) წინ III ირიბობიექტურ პირს თანამედროვე ქართულში ნიშანი არა აქვს („მ- და ს- თავსართების ხმარება ზმნებში“: ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბილისი, 1970, გვ. 193—194).

⁴ ეს კერძო შემთხვევა ხშირად განზოგადებულია და პირის ნიშანს არ ხმარობენ იქაც კი, სადაც, ნორმის თანახმად, მისი გამოყენება აუცილებელია, მაგ.: „დღეა ჯარგვალში ცეცხლზე შემომდგარ რძეს და რაჯობდა“ (ნ. დუმბ.). უნდა ყოფილიყო: რძეს სდარაჯობდა (შდრ. ერთპირიანი დარაჯობს: „ვინ გამოცეცალა? შენს მაგივრად ვინა და რაჯობს?“ ი. მაჩაბ. თარგმ.).

ამ ზმნათა ფუნქციური სხვაობა ფორმათა წარმოებისას კიდევ უფრო ხელშესახები ხდება — ისინი უღვლილების განსხვავებულ სისტემას ქმნიან.

-**ოზ** სუფიქსიანი ნასახელარი ზმნები, სხვა საშუალო გვარის ზმნათა მსგავსად, მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში გვხვდება (აქვს აწმყოს, ნამყო უსრულისა და აწმყოს კავშირებითის ფორმები), მყოფადის წყების, ასევე დრო-კილოთა II და III ჯგუფის ფორმები საკუთარი წარმოებისა მათ არ მოეპოვებათ. ნაწილი ამ ზმნებისა ნაკლულ ფორმებს გარკვეული წესით ფორმაჩანაცვლების — სესხების გზით იცვებს, რაც, რა თქმა უნდა, ფუნქციური მსგავსების საფუძველზე ხდება⁵: კერძოდ, ერთპირიანები თავისივე ფუძის ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნის სასუბიექტო ქცევის ფორმებით (მაგ.: მეფობს — იმეფებს, ხელმძღვანელობს — იხელმძღვანელებს), ზოლო ორპირიანები — სამპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნის საობიექტო ქცევის ფორმებით (მაგ.: ჰპატრონობს — უპატრონებს, ხელმძღვანელობს — უხელმძღვანელებს), ოლონდ ნასესხებ ფორმებს პირდაპირი ობიექტი ჩამოშორებული აქვს, შესაბამისად, პირდაპირობიექტური პირი — მოშლილი, ასევე დაკარგული აქვს ამ ზმნებს ქცევის გაგებაც⁶. მყოფადის ფუძის საერთო ფუძე გვაქვს დრო-კილოთა II და III ჯგუფის ფორმებში (მაგ., ერთპირიანები: იმეფა — უმეფა, იხელმძღვანელა — უხელმძღვანელა; ორპირიანები: უპატრონა — უპატრონებია, უხელმძღვანელა — უხელმძღვანელებია).

ასე რომ, -**ოზ** სუფიქსით ნაწარმოებ ერთპირიან ნასახელარ ზმნებს ნაკვთა მყოფადის წყების ფორმებს უვსებს იმავე ფუძისაგან **ი—ებ** აფიქსებით ნაწარმოები ზმნები, ზოლო ორპირიანებს — **უ—ებ** აფიქსებით ნაწარმოები ზმნები. (-**ოზ** სუფიქსიან ზმნებს, რომელთაც მყოფადში **-ებ** თემატური სუფიქსი არა აქვთ და, ამდენად, **უ—პასუხ-ებ-ს** ყალიბს არ ქმნიან, აქ არ განვიხილავთ).

ამ ორი წარმოების მქონე ნასახელარი ზმნები (-**ოზ** სუფიქსიანები, ერთი მხრივ, და **ი—ებ** და **უ—ებ** აფიქსიანები, მეორე მხრივ) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს ავლენენ და ურთიერთკანონზომიერი ჩანა-

⁵ ზმნათა ერთი ჯგუფი ვერც სესხების გზით ახერხებს ზმნის უღვლილების პარადიგმაში არსებული ცარიელი ადგილის შევსებას. ზმნათა ამ ჯგუფის გამოყენების არე ნაკვთა აწმყოს წყებით შემოიფარგლება. მაგ.: შიშობს, მოწმობს, ფასობს, მონაწილეობს, მფარველობს... (იხ. აგრ. ზ. ჭუ მ ბ უ რ ი ძ ე, მყოფადის წარმოება ქართულში: მაცნე, 1967, № 6, გვ. 240).

⁶ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 489—490.

ცვლებით აწმყო-მყოფადში ზმნის უღვლილების ერთიან, ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნიან.

მეფობს — იმეფებს და ჰპატრონობს — უპატრონებს ტიპის წარმოება სპეციალურ ლიტერატურაში საშუალო გვარის, კერძოდ, მედიოაქტიურ ზმნათა უღვლილების სახელითაა ცნობილი. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ამ ტიპის ზმნათა ფორმაწარმოება მოქმედებითი გვარის ზმნის ფორმაწარმოებას მიჰყვება⁷.

ჰპატრონობს — უპატრონებს ტიპის ზმნათა მსგავსად აწარმოებს ფორმებს ჩვენთვის საინტერესო **ჰპასუხობს, საყვედურობს, ჰკარნახობს, ჰპატაკობს** ზმნებიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ზმნები აწმყოს წყებაში **უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს, უპატაკებს** ზმნათა ფუნქციით იხმარება. იმ სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით, რომელსაც ეს ზმნები ირგებენ კონტექსტში (ეს კი **უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს, უპატაკებს** ზმნათა სინტაქსური კონსტრუქციაა!), **პ** და **კ** თანხმონების წინ, ნორმის თანახმად, ირიბობიექტური პირის ნიშნის გამოყენება აუცილებელია. ამის მიხედვით გრამატიკულად მართებული ფორმებია **ჰპასუხობს** (და არა: **პასუხობს**) მოთხოვნებს, **ჰკარნახობს** (და არა: **კარნახობს**) ამხანაგებს, **ჰპატაკობს** (და არა: **პატაკობს**) მეთაურს. ამიტომ ჩვენ შემდეგაც ასე (პირის ნიშნებით) დავასახელებთ ამ ზმნებს, მიუხედავად იმისა, რომ ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში ისინი უპირატესად პირის ნიშნის გარეშე გვხვდებიან.

2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **უ-პასუხ-ებ-ს, უ-საყვედურ-ებ-ს, უ-კარნახ-ებ-ს, უ-პატაკ-ებ-ს** ზმნათა მსგავსად ნაწარმოები ზმნებია: (გული) **უაზრებს, უაღერსებს, უანგარიშებს, უანდერძებს, უბიძგებს, უბოდიშებს, უბოძებს** (ბოძი ძვ. ქართ. საჩუქარი), **უგანებს, უდარაჯებს, უდებეშებს, უექიმებს, უეშმაკებს, უთავაზებს, უთვალთვალებს, უთვალყურებს, უკიჟინებს, უკირკიტებს, უმასპინძლებს, უმკითხავენს, უმკურნალებს, უმოციქულებს, უნისკარტებს, უპანდურებს, უპატრონებს, უსაგზლებს, უსაღბუნებს, უსამძივრებს, უსარდლებს, უსახსოვრებს, უფეშქაშებს, უქორქორებს, უღალატებს, უღიტინებს, უყარაულებს, უყურებს, უშარებს, უშელავათებს, უშუამავლებს, უშუამდგომლებს, უჩიჩინებს, უჩურჩულებს, უჩხიკინებს,**

7 ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 314, 484; ბ. ა. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975, გვ. 70, 178.

(საშუალო გვარის, როგორც ტერმინის, გამოყენებასთან დაკავშირებული სიძნელეების შესახებ საერთოდ იხ. ბ. ა. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ს დასახ. ნაშრ., გვ. 33—34, 69—71, 176—178, 236).

უცაცხანებს, უძლებს, უწამლებს, უწილადებს, უწინამძღვრებს, უწინასწარმეტყველებს, უწყალობებს, უხელმძღვანელებს და სხვ. (არ ვასახელებთ ამავე წარმოების მქონე, მაგრამ სხვა თემისნიშნიან ზმნებს, მაგ.: უხმობს, ურქენს და სხვ.).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საწარმოებელ ფუძედ არსებითი სახელი ან გაარსებითებული მიმღეობაა აღებული, მაწარმოებელ აფიქსებად კი უ- და -ებ ფორმანტები გამოიყოფა. ეს ზმნები ქცევის შინაარსს არ გამოხატავენ. უღვლილებისა და სიტყვაწარმოების ის მოქნილი სისტემა, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია ქართული ზმნისთვის, ზმნათა ამ ჯგუფისათვის უცხოა (შდრ. ნასახელარი აფითრებს, იფითრებს, უფითრებს, ფითრდება, უფითრდება — სხვადასხვა გვარისა და ქცევის ფორმები, რომელთაც დრო-კილოთა სამივე ჯგუფის ფორმები საკუთარი წარმოებისა აქვთ).

აქ წარმოდგენილ ზმნათა ერთი ნაწილი მნიშვნელობის თვალსაზრისით აწმყოს წყებაშია გაერთიანებული (უზოდისებს, უაღერსებს), მეორე ნაწილი — მყოფადის წყებაში (უსაგზლებს, უპატრონებს), ზმნათა მესამე ჯგუფი კი ერთნაირად იგუებს როგორც აწმყოს, ასევე მყოფადის შინაარსს (უყურებს, უწილადებს). შინაარსობრივი დიფერენციაცია მეორეული მოვლენაა; მას შემდეგ გაჩენილი, რაც ასპექტის გამოხატვის ძველი სისტემის შეცვლას ქართულში ნაკეთთა ახალი — მყოფადის წყების შექმნა მოჰყვა.

როგორც ცნობილია, ასპექტი⁸ ახალ ქართულში სიტყვაწარმოებითი კატეგორიაა. მის თაბოზიციურ წყვილებს ზმნის ფორმაზე ზმნისწინის დართვა-დაურთველობა განასხვავებს. უზმნისწინო ფორმა უსრულ ასპექტს გამოხატავს, ზმნისწინიანი ფორმა კი — სრულ ასპექტს. უზმნისწინო და ზმნისწინიან, შესაბამისად, უსრულასპექტიან (ვაკეთე, მიკეთებია) და სრულასპექტიან (გავაკეთე, გამიკეთებია) ფორმათა დაპირისპირება ერთი საუღვლებელი ერთეულის (მწკრივის) ფარგლებში დამახასიათებელია დრო-კილოთა მეორე და მესამე ჯგუფის ფორმებისათვის. დრო-კილოთა პირველ ჯგუფში განსხვავებული ვითარება გვაქვს. აქ ასპექტობრივი სხვაობა სცილდება ერთი საუღვლებელი ერთეულის ფარგლებს და დროულ სხვაობასაც გვაძლევს. უზმნისწინო,

⁸ ვემარბით წრომებს: ა. შანიძე. Изменение систем выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 9, 1942; მისივე, ქართული გრამატიკის საღუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 269—289, 514; ზ. ქუშტურაძე, მყოფადის წარმოება ქართულში: მაცნე, 1967, № 6, გვ. 222—250; მისივე, ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში: ორიონი, 1967, გვ. 336—356.

ე. ი. უსრულასპექტიანი ფორმები (წერს, ხატავს) აწმყოს წყებაშია გაერთიანებული, ხოლო ზმნისწინიანი, ე. ი. სრულასპექტიანი ფორმები (დაწერს, დახატავს), რომლებმაც დროის გამოხატვის თვალსაზრისით ახალი შინაარსი შეიძინეს, — მყოფადის წყებაში. ფორმათა ასეთი გადაწილების შედეგად ენაში არსებული სამი ერთეულის (აწმყო, ნამყო უსრული, I კავშირებითი) საფუძველზე დამატებით სამი ახალი ერთეული (მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი) მივიღეთ ისე, რომ „გარეგნულად ახალი არაფერი არ ყოფილა შექმნილი, — გამოყენებულ იქნა არსებული მარაგი ფორმებისა, ოღონდ გრამატიკული შინაარსის შეცვლით“⁹.

ასე რომ, აწმყო-მყოფადის ფორმათა წარმოების წესი ახალ ქართულში ძირითადად უზმნისწინო და ზმნისწინიან, შესაბამისად, უსრულასპექტიან და სრულასპექტიან, ფორმათა დაპირისპირებას ემყარება.

ბევრი ზმნა, რომელიც ზმნისწინს საერთოდ არ დაირთავს ან კიდევ მხოლოდ ზმნისწინით გვხვდება, ამ წესის მიღმა დარჩა და აწმყო-მყოფადის ფორმათა გასამიჯნავად სხვა საშუალებებს მიმართა. ასპექტის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლისას, თუ ერთ შემთხვევაში საკმარისი იყო ზმნის ძველი ფორმების შინაარსობრივი გადაზარიანება, სხვა შემთხვევაში ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და საჭირო გახდა ახალი ფორმების წარმოება. ენაში ახლანდელი და მომავალი დროის, შესაბამისად, აწმყოსა და მყოფადის ნაკვთა, გადმოსაცემად გარკვეული ყალიბები შემუშავდა და ძველი და ახალი ფორმებიც ამ ყალიბების მიხედვით განაწილდა. ასე მოუვიდა უ — ებ წარმოების მქონე ზმნებსაც, რომლებიც ზემოთ დასახელებული ფორმით (იხ. გვ. 104--105) თავდაპირველად მხოლოდ უსრულ ასპექტსა და ახლანდელ დროს გამოხატავდა, შესაბამისად, აწმყოს გაგებას შეიცავდა¹⁰. მოგვიანებით კ, როგორც აღვნიშნეთ, შინაარსობრივი გადაზარიანების შედეგად ეს ზმნები აწმყო-მყოფადის წყებაში განაწილდა და აწმყო-მყოფადის წარმოების წესის მიხედვით 4 ჯგუფი შექმნა. სახელდობრ:

ა) ზმნები უალერსებს, უბიძგებს (მნიშვნელობით წააქეზებს), უბოდიშებს, უნისკარტებს, უსამძიმრებს, უღიტინებს, უჩიჩხინებს, უჩურჩულებს, უჩიჩხურებს, უჩიჩინებს, უცაცხანებს, უძღებს, უწრუპუნებს თანამედროვე ქართულში აწმყოს კუთვნილებს. მყოფადის

⁹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, I, 1953, გვ. 278.

¹⁰ მიუხედავად იმისა, რომ უ — ებ წარმოების მქონე ყველა ზმნა ერთნაირი სიძველის არ არის, მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია მათი დახასიათება ამ მოდელის მქონე ზმნათა თავდაპირველი ფუნქციის მიხედვით.

ფორმებს ისინი ზმნისწინების დართვით აწარმოებენ. მაგალითად: მი-
-უალერსებს, [წა]-უბიძგებს, [მო]-უბოდიშებს, [ჩა]-უნისკარტებს, მი-
-უსამძიმრებს, [შე]-უღიბინებს, [შე]-უჩიხინებს, [ჩა]-უჩურჩულებს¹¹,
[შე]-უჩურჩურებს, [შე]-უჩიხიკინებს, და-უცაცხანებს, გა-უძღებს, [და]-
-უწრუჭუნებს (შდრ.: წერს — დაწერს). ნახევარკვადრატულ ფრჩხი-
-ლებში ჩასმული ფორმები მყოფადში უზმნისწინოდაც იხმარება. მათ
ამ შემთხვევაში აწმყო-მყოფადისათვის საზიარო ფორმები ექნებათ.

ბ) ზმნათა მეორე ჯგუფი აწმყო-მყოფადს ფორმის მიხედვით არ
განასხვავებს, აწმყო-მყოფადისათვის საზიარო ფორმებს გამოიყენებს.
ერთი და იგივე ფორმა კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა მნიშვნელო-
ბას იძენს. ერთ შემთხვევაში უსრული ასპექტისა და, შესაბამისად,
აწმყო დროის გაგება აქვს, სხვა შემთხვევაში კი — სრული ასპექტისა
და, შესაბამისად, მომავალი დროისა. საზიარო ფორმათა გარჩევა კონ-
ტექსტის მიხედვით ხდება. აწმყო-მყოფადში საზიარო ფორმები აქვს
(გული) უაზრებს, უანგარიშებს¹², უდარაჯებს, უდეპეშებს, უთვალთვა-
ლებს, უთვალყურებს, უკიჟინებს, უმკითხავენს (უმარჩიელებს), უსალ-
ბუნებს, უქორქორებს, უყარაულებს, უყურებს¹³, უჩიხინებს¹⁴, უწილა-
დებს, უწინასწარმეტყველებს, უწყალობებს ზმნებს.

ფორმის მიხედვით ახლანდელსა და მომავალ დროს არ განასხვა-
ვებდა ჩვენთვის საინტერესო უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს,
უპატაკებს ზმნებიც.

აწმყოს ფორმას გამოიყენებენ აგრეთვე უალერსებს, უბოდიშებს,
უბიძგებს, უნისკარტებს, უღიბინებს, უჩურჩულებს, უჩიხიკინებს, უჩურჩ-
-ხურებს ზმნები მომავალი დროის უსრული ასპექტის გადმოსაცემად.

ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ეს ზმნები გამონაკლისს არ
წარმოადგენენ. აწმყო-მყოფადში საზიარო ფორმებით ქართულში სულ
სხვადასხვა წარმოების მქონე ზმნათა დიდი ჯგუფები ხასიათდება. სა-
ხელდობრ, ის ზმნები, რომლებსთვისაც აწმყო-მყოფადის ფორმათა

11 ეგვევ მნიშვნელობა აქვს ზმნისწინიან ჩასჩურჩულებს ზმნურ ფორმას, რო-
მელიც აწმყოსა და მყოფადს კონტექსტის მიხედვით განასხვავებს. მაგ.: „შენ რომ
მილიმი ასეთი კდემით და ასე ნაზად ჩამჩურჩულებ რაღაცას ყურში, მაგას
გაიგებს ჩემი გული, ყური კი არა“ (ლ. ლოლოზ, თარგმ.). ჩამჩურჩულებ აქ აწმყოს
ფორმაა.

12 მაგ., დანახარჯს უანგარიშებს (ახლა და მომავალში). განსხვავებული შინაარ-
სობრივი ნიუანსი ახლავს ზმნისწინიან გამოუანგარიშებს ფორმას. ამიტომ უანგარი-
შებს ფორმას იგი მყოფადში ყოველთვის ვერ ჩაენაცელება.

13 მყოფადში უსრული ასპექტის გამოსახატავად აწმყოს საზიარო ფორმა უყუ-
რებს გვექნება, სრული ასპექტისათვის კი სხვა ფუძე — შეხედავს.

14 უჩიხინებს ზმნური ფორმის გვერდით აწმყოს წყებაში ჩასჩიხინებს ფორმაც
გვხვდება.

გარჩევის წესი, რომელიც ახალ ქართულში ძირითადად ზმნისწინის დართვა-დაუბრუნებლობას ემყარება, უცხო აღმოჩნდა იმის გამო, რომ ეს ზმნები ან საერთოდ არ დაბრუნებენ ზმნისწინს, ან ზმნისწინის გარეშე არ იხმარებიან (აწმყოშიც ზმნისწინიანები არიან)¹⁵.

გ) ზმნათა მესამე ჯგუფის ფორმები ნაკვთთა მყოფადის წყების კუთვნილებათა, აწმყოს წყებაში კი მათ იმავე ფუძის -**ობ** სუფიქსიანი წარმოება ენაცვლება. მაგ.: **ჰპატრონობს — უპატრონებს, ლაღობს — ულაღობებს, მასპინძლობს — უმასპინძლებს, ხელმძღვანელობს — უხელმძღვანელებს, მკურნალობს — უმკურნალებს, სთავაზობს — უთავაზებს**¹⁶.

სპეციალურ ლიტერატურაში ამ წარმოების მქონე სხვა ზმნებსაც ასახელებენ. თეორიულად, მართალია, სავსებით დასაშვებია ფორმებია, მაგრამ პრაქტიკულად ენაში გამოყენების ძალზე მცირე შესაძლებლობა აქვს ორპირიან -**ობ** სუფიქსით ნაწარმოებ ზმნებს ქვემოთ მოყვანილი წყვილებიდან: **ექიმობს — უექიმებს, მოყვრობს**¹⁷ — უმოყვრებს, **მოციქულობს**¹⁸ — უმოციქულებს, **შუამავლობს — უშუამავლებს, შუამდგომლობს — უშუამდგომლებს, სარდლობს — უსარდლებს, ბელადობს**¹⁹ — უბელადებს, **სწინამძღვრობს**²⁰ — უწინამძღვრებს, **მაჰანკლობს — უმაჰანკლებს**. ენაში, ჩვეულებრივ, ამ ზმნათა ერთპირიანი (**შუამდგომლობს — იშუამდგომლებს, მოციქულობს — იმოციქულებს...**) და მყოფადის (**უშუამდგომლებს, უმოციქულებს...**) ფორმები გვხვდება. მყოფადის (ან ნამყო ძირითადის) ფორმათა არსებობა კი აუცილებლობით არ გულისხმობს აწმყოს ფორმათა არსებობასაც ისევე, როგორც, პირიქით, შეიძლება აწმყოს ფორმა გვექონდეს, დროკილოთა სხვა ფორმები კი — არა. აწმყოს წყებაში ორგანული წარმოების მქონე ფორმებთან შედარებით უპირატესობა სახელურ-ზმნურ შესიტყვებებს ენიჭება. მეორე მხრივ, აწმყოს **მეთაურობს** ფორმა უფ-

15 დაწვრილებით ამ ზმნათა შესახებ იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 277—284; ზ. ქუთუბიძე, მყოფადის წარმოება ქართულში: მაცნე, 1967, № 6, გვ. 222—250.

16 სხვა შინაარსობრივი გაგება უკავშირდება **სთავაზობს — შესთავაზებს** ფორმებს, სახელდობრ: აწვდის; წინადადებას აძლევს, მოუწოდებს.

17 „ვერ გაიგებ, შერმანი როდის გმტრობს და როდის გმოყვრობს“ (შ. დად.). ილუსტრაცია ამოღებულია ქეგალ-იდან.

18 „თუ დამორჩილდა იგი შენს ცდას, შენს ტყბილ ლაპარაკს, რაც ხშირად ერთ სულს მოციქულობს მეორე სულთან“ (ი. მაჩაბ. თარგმ.).

19 „რად გინდა ლექსი უღლეური და უფერადო, ადამიანთა მოძრაობას თუ არ ბელადობ?“ (ა. მირცხ.). ილუსტრაცია ამოღებულია ქეგალ-იდან.

20 „ბრძოლით სულდგმულობს გული ჩემი, ბრძოლებს მზისებრ, რამეთუ ხალხი მწინამძღვრობს და იმედით მავსებს“ („სამშ.“).

რო გავრცელებულია (მაგ.: რაზმს, ასეულს, ქვეგანაყოფს... მეთაურობს) და ენაში მისი გამოყენება უფრო ბუნებრივი ჩანს, ვიდრე მყოფადისა და ნამყო ძირითადის უმეთაურებს და უმეთაურა ფორმებისა.

გარკვეული სტილისტიკური ელფერი ახლავს სწამლობს — უწამლებს ფორმათა გამოყენებას; სტილისტიკურად მოძველებული ჩანს ექიმობს — უექიმებს ფორმები. თანაბარ პირობებში სწამლობს — უწამლებს და ექიმობს — უექიმებს ფორმებთან შედარებით თანამედროვე ქართული უპირატესობას სინონიმური მნიშვნელობის მქონე მკურნალობს — უმკურნალებს ზმნურ ფორმებს ანიჭებს.

ბოლო დროს ძალიან გავრცელდა ორპირიანი (ორკესტრს) დირიჟორობს, რომელსაც მყოფადში უდირიჟორობს ფორმა ენაცვლება (მდრ. ერთპირიანი დირიჟორობს — იდირიჟორობს).

აწმყო-მყოფადის უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარანახებს, უპატაკებს საზიარო ფორმათა გასამიჯნავად გავრცელდა ენაში ჰპასუხობს, საყვედურობს, ჰკარანახობს, ჰპატაკობს ფორმები. უფრო ადრე კი ამ მიზნით აწმყოში -ობ სუფიქსიანი სდარაჯობს, ჰყარაულობს ფორმები გაიჩინეს უდარაჯებს, უყარაულებს ზმნებმა.

ეს ზმნები ჰპატრონობს — უპატრონებს ტიპის წარმოებას ქმნიან. როგორც ზემოთ, -ობ სუფიქსიანი ზმნებზე საუბრისას აღვნიშნეთ, ჰპატრონობს — უპატრონებს ტიპის წარმოება სპეციალურ ლიტერატურაში საშუალო გვარის (resp. მედიოაქტიურ) ზმნათა უღვლილების სახელითაა ცნობილი. ცნობილია ამ ზმნათა უღვლილების წესიც. მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ უღვლილების ამ ტიპს არსებითად რამდენიმე ზმნის ფორმაწარმოება ქმნის და, რაც მთავარია, ყველა ორპირიანი -ობ სუფიქსით ნაწარმოები ზმნა სათანადო უ—ებ წარმოების მქონე ზმნას აწმყოს წყებაში ყოველთვის თავისუფლად ვერ ენაცვლება. ეს, უპირველეს ყოვლისა, I და II ირიბობიექტური პირის ფორმაწარმოებას ეხება. ენაში დაუბრკოლებლად იხმარება მალატობს (გლალატობს), მპატრონობს (გპატრონობს), მთავაზობს (გთავაზობს) ფორმები, მაშინ როცა მმასპინძლობს (გმასპინძლობს), მხელმძღვანელობს (გხელმძღვანელობს) ფორმათა გამოყენება ჰირს (აღარაფერს ვამბობთ მოყვრობს, შუამდგომლობს, ბელადობს და სხვა ზმნათა შესახებ, რომელთა გამოყენებას მესამე პირის ფორმითაც კი შემთხვევითი ხასიათი აქვს). როგორც უკვე ითქვა, სალიტერატურო ენა ამ ფორმებთან შედარებით უპირატესობას სახელურ-ზმნურ შესიტყვებებს — ხელმძღვანელობას მიწევს (გიწევს), მასპინძლობას მიწევს (გიწევს) ან შედგენილ შემასმენელს — ჩემი (შენი, მისი...) ხელმძღვანე-

ლია, ჩემი (შენი, მისი...) მასპინძელია — ანიჭებს²¹. (სხვათა შორის, ლალატობს, სთავაზობს, მკურნალობს ზმნებს ფუნქციური შესატყვისი სახელურ-ზმნური შესიტყვების სახით ენაში არ მოეპოვება).

ფართოდ გავრცელდა და თავისუფლად იხმარება **მპასუხობს** (გპასუხობს), **მსაყვედურობს** (გსაყვედურობს), **მკარნახობს** (გკარნახობს) ფორმები.

სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული შეხედულების თანახმად, აწმყო-მყოფადის ფორმები არსებითად ენაში არსებულ ფორმათა საფუძველზე ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც ამ ფორმათა გარკვეული ფუნქციით გამოყენებამ სისტემური ხასიათი მიიღო²². ამას კი წინ ასპექტის ახალი სისტემის ჩამოყალიბება უძლოდა. რაკი გარკვეული ყალიბი აწმყო-მყოფადის ფორმათა დაპირისპირებისათვის ენაში შეიქმნა, ნაკლები ფორმების შევსება სწორედ ამ ყალიბის გამოყენების საფუძველზე მოხდა, ერთი მხრივ, ენაში არსებულ ფორმათა შინაარსობრივი „გადაზრთანებისა“ და, მეორე მხრივ, ყალიბის მიხედვით ახალი ფორმების წარმოების შედეგად. ამიტომ რომელიმე (აწმყოსა თუ მყოფადის) ფორმის პირველადობის საკითხი **ჰპატრონობს — უპატრონებს** წარმოების მქონე ყველა ზმნის მიმართ ერთნაირად არ იმისი. თუ ერთ შემთხვევაში აწმყოსა (-ობ სუფიქსიანი) და მყოფადის (უ—ებ აფიქსებიანი) ფორმები ერთნაირი სიძველით ხასიათდება, სხვა შემთხვევაში შეიძლება აწმყოს ფორმა იყოს ძირითადი და ამოსავალი მყოფადის ფორმისათვის, ან კიდევ, პირიქით: დღეს მყოფადისად მიჩნეული ფორმა ძველი წარმოებისა იყოს, აწმყოსად მიჩნეული კი — ახალი. ასე რომ, ყოველი კონკრეტული შემთხვევა ამ თვალსაზრისით საკითხის კონკრეტულ პასუხს შეიცავს.

ჰპატრონობს — უპატრონებს, აწმყოსა და მყოფადის დაპირისპირების ეს წესი, ენაში ამჟამად მიმდინარე პროცესის ამსახველი ერთ-ერთი წესია. ნაკლებ ფორმათა შევსება და ახალ ფორმათა წარმოება

²¹ ზომიერების დაცვა საჭირო **მასპინძლობს** (უმასპინძლებს — უმასპინძლა) ზმნის გამოყენებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება საბოლოოდ დაიკარგოს ის ექსპრესიული ფუნქცია, რომელიც ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარებასთან იყო დაკავშირებული და იგი არაფრისმთქმელ შტამად იქცეს. პრესა სავსეა **მასპინძლობს** ზმნის შემცველი ასეთი წინადადებებით: „რა შეჯიბრებებს უმასპინძლებს ამ სეზონში ბაკურიანი?“ („ლელო“). „სსრ კავშირის ცენტრალურმა, საქადრაკო კლუბმა უმასპინძლა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩს“ („ლელო“). აჯობებდა სათქმელი ასე გვეთქვა: რა შეჯიბრებები გაიმართება (ჩატარდება) ბაკურიანში? სსრ კავშირის ცენტრალურ საქადრაკო კლუბში გაიმართა (ჩატარდა) პრეტენდენტთა ფინალური მატჩი.

²² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, I, 1953, გვ. 278; ზ. ჭუმბურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 222.

ამ წესის მიხედვით ახლაც გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ აწმყო-
მყოფადის ფორმები თანამედროვე ქართულში ძირითადად ჩამოყალი-
ბებულად ითვლება.

დ) მეოთხე ჯგუფი უ—ებ წარმოების მქონე ზმნებისა, რომელთაც
ახალ ქართულში სრული ასპექტის გაგება უკავშირდება, მხოლოდ მყო-
ფადში (და, რა თქმა უნდა, დრო-კილოთა II და III ჯგუფში) იხმარე-
ბა, აწმყო კი არა აქვს — არც საზიარო და არც -ობ სუფიქსიანი მო-
ნაცვლე ფორმების სახით. ეს ზმნებია: უანდერძებს, უბოძებს²³, უბიძ-
გებს (მნიშვნელობით ხელს ჰკრავს), უგანებს, უსაგზლებს, უსახსოვ-
რებს, უფეშქაშებს, უშარებს, უშელავათებს. ეს ზმნები აწმყოში სახე-
ლურ-ზმნურ შესიტყვებებს ან სინონიმური მნიშვნელობის მქონე
ზმნებს გამოიყენებენ. ასე მაგალითად: ანდერძად უბარებს, ანდერძად
უტოვებს, უბარებს; ხელს ჰკრავს; საჩუქარს მიართმევს; განზე უდგება;
საგზლად ატანს; სახსოვრად აძლევს, უძღვნის; საჩუქრად აძლევს;
შარს ხდებს; შელავათს აძლევს.

უ—ებ წარმოების მქონე ზმნათა უმეტეს ნაწილს²⁴ პირდაპირი
ობიექტი არ ეწყობა, თუმცა ზმნის ფუძის აგებულების მიხედვით ამ
პირის არსებობა ეჭვს არ იწვევს. ფუძე სამპირიანი ზმნისა გვაქვს²⁵,
ზმნას კი რეალურად ორი — სუბიექტური და ირიბობიექტური — პირი
შეეწყობა. მაგალითად: უალერსებს ის მას (უალერსა მან მას), უბიძ-
გებს ის მას (უბიძგა მან მას), უგანებს ის მას (უგანა მან მას), უყურებს
ის მას (უყურა მან მას), უბოდიშებს ის მას (უბოდიშა მან მას), უთვალ-
თვალებს ის მას (უთვალთვალა მან მას), უსამძიმრებს ის მას (მიუსამ-
ძიმრა მან მას), უძღვებს ის მას (გაუძღლო მან მას), ულიტინებს ის მას
(ულიტინა მან მას)... აღარაფერს ვამბობთ უპატრონებს ის მას (უპატ-
რონა მან მას), უხელმძღვანელებს ის მას (უხელმძღვანელა მან მას),
უმასპინძლებს ის მას (უმასპინძლა მან მას) და სხვ. ზმნათა შესახებ,
რომელთა პირდაპირი ობიექტი დაკარგულად ითვლება²⁶.

²³ შეუძლებელი არ ჩანს უანდერძებს, უბოძებს ზმნათა აწმყოში ხმარებაც (იხ.
ზ. კ უ მ ბ უ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 224). თუ ეს ასეა, მაშინ აწმყო-მყოფადში
საზიარო უანდერძებს, უბოძებს (აწმყო) — უანდერძებს, უბოძებს (მყოფადი) ფორ-
მები გვექნება.

²⁴ და არა მხოლოდ იმ ზმნებს, რომლებიც დრო-კილოთა ფორმებს უესებენ სა-
შუალი გვარის ორპირიან ნასახელარ ზმნებს.

²⁵ გარდა ამისა, ზმნებს აქვთ ბრუნეაცვალბადი სუბიექტი, ფორმათა ინერ-
სიული წარმოება დრო-კილოთა III ჯგუფში, -ეს დაბოლოება ნამყო ძირითადის
მრავლობითის III პირში, ე. ი. ზმნის გარდამავლობისათვის აუცილებელი თითქმის
ყველა მორფოლოგიურ-სინტაქსური ნიშანი.

²⁶ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 489.

როგორც ვარაუდობენ, ეს ფაქტი შემთხვევითი ხასიათისა არ უნდა იყოს და რომ სავსებით შესაძლებელია გარკვეული კავშირი არსებობდეს ზმნის ფუძედ არსებითი სახელის გამოყენებასა და პირდაპირი ობიექტის უქონლობას შორის.

ეს საკითხი მედიოაქტიურ ზმნათა მონაცემების მიხედვით განხილული აქვს ლ. ნოზაძეს²⁷. ავტორის ვარაუდით, პირდაპირი ობიექტი იმეფებს, ურქენს, უწამლებს ტიპის ზმნებს, დაკავშირებული იმ წესით, რაც ნორმად ითვლება სხვა გარდამავალი ზმნებისათვის, ე. ი. „გარეგანი ობიექტის“ სახით, არ უნდა ჰქონოდათ. აქ წარმოების სხვა წესთან უნდა გვექონდეს საქმე. პირდაპირი ობიექტი ამ ზმნებისა უნდა იყოს ის სახელი, რომელიც ზმნათა ფუძეშია წარმოდგენილი. სახელდობრ, იმეფა, ინადირა, უწამლა, ურქინა ზმნათა პირდაპირი ობიექტი უნდა იყოს მეფე, ნადირი, წამალი, რქა. ე. ი. პირდაპირი ობიექტი ამ ზმნებთან „შინაგანი ობიექტის“ სახით უნდა გვექონდეს²⁸.

თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად ლ. ნოზაძე იშველიებს ძველ ქართულში ფართოდ გავრცელებული ისეთი რთული ზმნების ფორმაწარმოებას, რომლებსაც სახელად ნაწილად პირდაპირი ობიექტი აქვთ (მაგ.: დაღაღ-ყო, ქმა-უყო, მზირ-უყო და სხვ.). აღსანიშნავია, რომ, როცა ამ ზმნათა დიდი ნაწილი აღწერთი წარმოებიდან ორგანულ წარმოებაზე გადავიდა, პირდაპირი ობიექტი, როგორც ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი, ისევ ზმნის ფუძეში დარჩა. ასე მივიღეთ იღაღადებს, უქმობს, უმზერს და სხვ. ზმნათა ერთ ნაწილს ბოლომდე შერჩა ძველი სინტაქსური ვითარება — სხვა პირდაპირ ობიექტს არ შეიწყობს, ნაწილს კი ახალი პირდაპირი ობიექტი დაუკავშირდა იმის გამო, რომ სახელური ნაწილის პირდაპირ ობიექტად გაგება დაიჩრდილა²⁹.

აქედან გამომდინარე, ავტორი პირდაპირი ობიექტის მეორეულობის საკითხს სვამს ი- და უ- პრეფიქსებით ნაწარმოები ისეთი ნასახელარი ზმნების მიმართაც, რომლებიც ქცევის გაგებას არ იძლევიან, მაგრამ რომელთა ორპირიანობა და სამპირიანობა სტაბილურია ჩანს³⁰.

ზმნის ფუძეში წარმოდგენილი სახელის პირდაპირ ობიექტად გაგების შესაძლებლობას იძლევა უ—ებ წარმოების მქონე სხვა ზმნათა ერთი ნაწილიც. მაგალითად, უყურებს ზმნისთვის ასეთი ობიექტი იქნება, ყური, უბოდიშებს ზმნისთვის — ბოდიში, უსამძიმრებს ზმნის-

27 ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: იკვ, XIX, თბ., 1974, გვ. 25—51.

28 იქვე, გვ. 47—48.

29 იქვე, გვ. 48—49.

30 იქვე.

თვის — სამძიმარი, უპასუხებს ზმნისთვის — პასუხი, უსაყვედურებს ზმნისთვის — საყვედური, უპატაკებს ზმნისთვის — პატაკი, უკარნახებს ზმნისთვის — კარნახი, უპატრონებს ზმნისთვის — პატრონი, უხელმძღვანელებს ზმნისთვის — ხელმძღვანელი... ეს ვარაუდი შესაძლებლობას მოგვცემს აეხსნათ ამ ზმნებისათვის დამახასიათებელი ერთი შეხედვით უჩვეულო სინტაქსური კონსტრუქცია ის მას (დრო-კილოთა I ჯგუფისათვის) და მან მას (დრო-კილოთა II ჯგუფისათვის).

ამგვარი გაგების სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე უ—ებ ორგანული წარმოების ფორმათა მქონე ზმნების პარალელურად ენაში არსებული სახელურ-ზმნური შესიტყვებები. სახელდობრ: უბიძგებს — ბიძგს აძლევს, უბოდიშებს — ბოდიშს უხდის, უმასპინძლებს — მასპინძლობას გაუწევს, უშუამდგომლებს — შუამდგომლობას გაუწევს, უხელმძღვანელებს — ხელმძღვანელობას გაუწევს, უსამძიმარებს — სამძიმარს ეუბნება, უშარებს — შარს მოხდებს, უპასუხებს — პასუხს აძლევს, უსაყვედურებს — საყვედურს ეუბნება, უპატაკებს — პატაკს აძლევს და სხვ. როგორც ვხედავთ, ნასახელარი ზმნის ფუძეში წარმოდგენილი სახელი სათანადო ფრაზეოლოგიური შესიტყვების პირდაპირ ობიექტად გვევლინება.

ასე რომ, პირდაპირი ობიექტის „მინაგანად“ არსებობის დაშვება ამ ზმნებთან საფუძველს მოკლებული არ ჩანს.

უ—ებ წარმოების მქონე სხვა ზმნებთან (მაგ.: უბოძებს ის მას მას, უსახსოვრებს ის მას მას, უსაგზლებს ის მას მას, უწილადებს ის მას მას, უწყალობებს ის მას მას...) პირდაპირი ობიექტის არსებობა მეორეული მოვლენა უნდა იყოს, მას შემდეგ გაჩენილი, რაც ფუძეში არსებული სახელის ობიექტად გაგების შესაძლებლობა დაიჩრდილა; ფუძეში წარმოდგენილმა სახელმა დროთა განმავლობაში განზოგადებული მნიშვნელობა შეიძინა, რის გამოც შესაძლებელი გახდა ზმნას ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ახალი სახელი დაკავშირებოდა პირდაპირი ობიექტის ფუნქციით. მაგ., უსაგზლებს ზმნამ, რომელიც ნიშნავდა საგზალს ატანს, მოგვიანებით საგზლად ატანს შესიტყვების მნიშვნელობა მიიღო და პირდაპირი ობიექტი შეიწყო (მაგ.: „[ინჟინერმა ბახულისას] ერთი თუ მანი უსაგზლა“. გ. წერ.). ასევეა უბოძებს ზმნაც, რომელიც თავდაპირველად ბოძის — საჩუქრის მირთმევას ნიშნავდა, მოგვიანებით კი რისამე (მაძულების, თავადობის, აზნაურობის...) საჩუქრად მირთმევის მნიშვნელობა შეიძინა. განვითარების ასეთივე გზა აქვს გავლილი უანდერძებს ზმნას ანდერძს (ანდერძი საშუალსპარსულიდან შემოსული სიტყვაა და ქართულად

„წიგნს“, დანაბარებს ნიშნავს³¹) უტოვებს მნიშვნელობიდან ანდერძად უბარებს რასმე, ანდერძით უტოვებს რასმე მნიშვნელობამდე.

ძველ ქართულში უპასუხებს ზმნის მნიშვნელობით სიტყუა-უგებს, სიტყუასა მიუგებს შესიტყვება იხმარებოდა (მაგ.: „მაშინ აღდგა მღვდელთმოძღვარი იგი და ჰრქუა მას: არცალა ს ი ტ ყ უ ა ს ა მ ი უ გ ე ბ, რასა ესენი შეგწამებენ შენ? მ 26,62 ДЕ. შდრ.: что же ты ничего не отвечаешь, что они против Тебя свидетельствуют?). მოგვიანებით ქართული სიტყუა საშუალებას უძლავს პასუხმა³² (პასუხი ქართულად სიტყვას ნიშნავს)³³ შეცვალა და ენაში პასუხ-უგებს, პასუხს მიუგებს შესიტყვებები გავრცელდა (მაგ.: „უკუეთუ ვინმე შეპრისხნის, პ ა ს უ ხ-უ გ ე ბ ნ ტკივილით“ მამათა სწავლ., 265,7). ახალ ქართულში პასუხს მიუგებს შესიტყვების ნაცვლად პასუხად მიუგებს გვაქვს. პასუხი, რომელიც პირდაპირი დამატების ფუნქციას ასრულებდა, პირ-მიუმართავი დამატების ფუნქციით აღიჭურვა, რის გამოც შესაძლებელი გახდა ზმნას ახალი პირდაპირი ობიექტი დაკავშირებოდა. მაგ.: „გულმოკლულმა ესღა მიუგო პასუხად“ („საქ. ქალი“).

ზმნის ფუძედ გამოყენებული სახელისა და პირდაპირი ობიექტის ურთიერთობის თვალსაზრისით ასეთ ნათელსა და გამჭვირვალე სურათს ჩვენთვის საინტერესოა ზმნათა მხოლოდ ერთი ნაწილი გვიჩვენებს. მიუხედავად იმისა, რომ უ—ებ წარმოების მქონე ყველა ზმნისთვის ფუძედ გამოყენებული სახელის პირდაპირ ობიექტად გააზრება ჭირს, ერთი რამ მაინც ნათელია: პირდაპირი ობიექტის უქონლობა კონტექსტში ამ ზმნათა თავდაპირველი და ბუნებრივი სინტაქსური ვითარება ჩანს. ზმნის ფუძის აგებულებით ეს პირი ივარაუდება. ფორმათა წარმოება იმ ზმნებისა, რომელთაც სინტაქსურად გამოხატული პირდაპირი ობიექტი (დამატება) არ შეეწყობა და იმ ზმნებისა, რომელთაც ასეთი ობიექტი აქვთ, სხვაობას არ გვიჩვენებს, რადგან, როგორც ცნობილია, სამპირიანობა ზმნისა სამივე პირის მიხედვით ცვლას არ ნიშნავს. სამპირიანი ზმნა სუბიექტისა და ირიბი ობიექტის მიხედვით იცვლება. „სამპირიანი ზმნის უღვლილება იმდენსავე ფორომას იძლევა, რამდენსაც — ორპირიანი ზმნისა“³⁴. და „თუ მაინც სამპირიანობა-

31 მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 209; ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

32 მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 211, 359. ავტორის აზრით, პასუხი ძველი ქართული ენის ძველებიდან ყველაზე ადრე „აბოს წამებაში“ გვხვდება.

33 ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი.

34 არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 056.

ზე ვლადპარაკობთ, ამის საფუძველი ისაა, რომ ფუძე სამპირიანი ზმნისა განსხვავებულთა ორპირიანი ზმნის ფუძისაგან, როგორც ეს ხელშესახები ხდება ვნებითის წარმოებისას, აგრეთვე საობიექტო ქცევაში³⁵. ჩვენთვის საინტერესო ზმნათა უღვლილება სამპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნის უღვლილებას მიჰყვება, მისი ანალოგიურია. სწორედ ფუძის აგებულებისა და უღვლილების წესის გამო ეს ზმნები სამპირიან გარდამავალ ზმნებად არის მიჩნეული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაც (იხ. სათანადო სიტყვა-სტატიები).

უ—ებ წარმოების მქონე ყველა ზმნას ირიბი ობიექტი შეეწყობა. ირიბი ობიექტი შეეწყობა ყველა იმ -ობ სუფიქსიან ზმნასაც, რომლებიც აწმყოს წყებაში ენაცვლებიან უ—ებ წარმოების მქონე ზმნებს. სუბიექტურ პირთან ერთად ეს ზმნები ირიბობიექტური პირის მიხედვითაც იცვლება.

უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს, უპატაკებს ზმნები სემანტიკურად „მეტყველება წრის“ ზმნებს განეკუთვნება. „მეტყველება წრის“ ზმნები ძველი ქართული ენის მონაცემების მიხედვით ცალკე ჯგუფად გამოყო და მათი სინტაქსური ბუნება შეისწავლა ფ. ერთელიშვილმა³⁶. ეს ზმნებია: ჰრქუა (იტყვს), თქუა (იტყვს), აღუთქუა, უთხრა, მიუგო, ჰკითხა, ახარა, აღიარა, აუწყა, უბრძანა, წამა, შეუთვალა და სხვ.³⁷

ამ ზმნებს პირდაპირი დამატება უნდა ჰქონდეთ, მაგრამ წინადადებაში ეს სახელი, ზოგი გამონაკლისის გარდა, არ ჩანს. ავტორის ვარაუდით, ეს სახელი, როგორც ერთი და, ამდენად, ადვილად სავარაუდებელი, გაუჩინარდა. პირდაპირი დამატების შინაარსობრივ ნაცვლობას ამ ზმნებთან მთლიანად დამოკიდებული წინადადება ეწევა. „თითქოს ბუნებრივად არის: ის, რაც თქვა ან უთხრა (მან მას) ერთ სიტყვაში ძნელად მოთავსდება და, თუ ასეთი შემთხვევები მაინც გვხვდება, ეს იმიტომ, რომ ენაში არსებობს გარკვეული რაოდენობა ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც „მეტყველება წრის“ ზმნებმა პირდაპირ დამატებად შეიძლება შეიგუონ (სიტყუა, იგავი, სახელი...). თქმულის

³⁵ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 057.

³⁶ ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, თბილისი, 1963, გვ. 183—194.

³⁷ უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს და, მით უმეტეს, უპატაკებს ზმნები, როგორც ენაში გვიან შექმნილი ლექსიკური ერთეულები (პირველი სამი ზმნა პირადად ჩვენთვის აღორძინების ხანის მწერლობიდან არის ცნობილი), ცხადია, ზემოთ დასახელებულ ზმნებთან ერთად განხილვის საგანი ვერ გახდებოდა, მაგრამ ის მოსაზრებანი, რომლებიც ამ ზმნებთან დაკავშირებით გამოითქვა, უპასუხებს, უსაყვედურებს... ზმნათა მიმართაც გამოდგება სახელმძღვანელო.

კონკრეტული შინაარსი, ჩვეულებრივ, დამოკიდებული წინადადებით გამოიხატება ხოლმე³⁸.

ამ ზმნათა თავისებურება ისიც არის, რომ დამოკიდებულ წინადადებას მთავარში მისამართი სიტყვა არა აქვს. დამოკიდებული წინადადება მთლიანად ეწევა შინაარსობრივ ნაცვლობას იმ სიტყვისას, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლება შემასმენლის დამატება ყოფილიყო³⁹.

ეს სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქცია ახასიათებს ჩვენთვის საინტერესო უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს, უპატაკებს ზმნებსაც, ოღონდ ზემოთ დასახელებულ ზმნათაგან განსხვავებით, პირდაპირი ობიექტი ამ ზმნებისა დაკარგული ან გაუჩინარებული კი არ არის, არამედ ზმნის ფუძეშია, სემანტიკურად დატვირთული ნაწილია ზმნისა.

ხშირად კონტექსტის მიხედვით შინაარსობრივად დაზუსტება სჭირდება ზმნის ფუძის საწარმოებლად აღებულ სახელს — იმ ნათქვამს, პასუხად, საყვედურად რომ უთხრეს, პატაკის, კარნახის, სახით რომ მიაწოდეს ვისმე. ამ ნათქვამის შინაარსი კი ზმნას უკავშირდება წინადადების (პირდაპირი ან ირიბი ნათქვამის), დამატებითი დამოკიდებული წინადადების ან ცალკეულ შემთხვევაში ახლადგანვითარებული პირდაპირი დამატების სახით (დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი).

ასეთსავე ვითარებას გვიჩვენებენ ჰპასუხობს, საყვედურობს, ჰკარნახობს, ჰპატაკობს ზმნებიც, რომლებიც კონტექსტში უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს, უპატაკებს ზმნათა ფუნქციურ მაგიერობას სწევენ.

როგორც უკვე ითქვა, ჰპასუხობს, ჰკარნახობს, საყვედურობს ზმნები არ განსხვავდებიან ჰპატრონობს, ლალატობს, მასპინძლობს, ხელმძღვანელობს, მკურნალობს, სთავაზობს და სხვა ამგვარი წარმოების მქონე ზმნათაგან. მაგრამ სალიტერატურო ენაში ამ ფორმებს სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა. ჰპატრონობს ტიპის ფორმები, როგორც ენაში ამ ფუნქციით გამოყენებული ერთადერთი ფორმები, მართებულობის თვალსაზრისით გადასინჯვას არ საჭიროებს; ჰპასუხობს, ჰკარნახობს, საყვედურობს ფორმები კი, რომლებიც უპასუხებს, უკარნახებს, უსაყვედურებს ზმნურ ფორმათა პარალელურად იხმარება აწმყოს წყებაში, სალიტერატურო ენის თვალსაზრისით არამართებულ ფორმებად

38 ფ. ერთელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

39 იქვე, გვ. 244—245.

არის მიჩნეული⁴⁰, უპირატესობა ენაში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ უპასუხებს, უკარნახებს, უსაყვედურებს ფორმებს ენიჭება. ეს აზრია გატარებული ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონსა⁴¹ და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში⁴².

ამ თვალსაზრისს იცავს და, ამდენად, უპასუხებს, უკარნახებს, უსაყვედურებს ფორმებს მართებულ ფორმებად თვლის, ხოლო მათი მოცილე პასუხობს, კარნახობს, საყვედურობს ფორმების არამართებულობის დასაბუთებას ცდილობს გ. შალამბერიძე⁴³. მისი აზრით, ავადმყოფობს, ამაყობს, თამაშობს, მუშაობს, ომობს და სხვა „ერთპირიანი ზმნების ანალოგიით აწარმოებენ „პასუხობს“, „კარნახობს“, „საყვედურობს“ ზმნებს, რომელთაც ორპირიანი ზმნების შინაარსით ხმარობენ: პასუხობს ის მას, მპასუხობს ის მე, კარნახობს ის მას, მკარნახობს ის მე, საყვედურობს ის მას, მსაყვედურობს ის მე და სხვ. მაგრამ ამ ზმნებს არ შეიძლება შევუწყოთ ორი პირი, ისე, როგორც არ შეიძლება ვთქვათ: ავადმყოფობს ის მას, მავადმყოფობს ის მე, მამაყობს ის მე, გამაყობ მე შენ და ა. შ.“⁴⁴; „პასუხობს, კარნახობს, საყვედურობს ერთპირიანი ნასახელარი ზმნებია, ისე როგორც კაცობს, ბავშვობს, გულობს, დარდობს... და ბევრი სხვა. ამ ზმნებს პირდაპირი ობიექტი არ შეეწყობათ, ხოლო ვინც „კარნახობს“ და მის მსგავს ფორმებს ხმარობს ორპირიანი გარდამავალი ზმნის გაგებით, ის ანგარიშს არ უწევს ზმნის სტრუქტურას და თავისი სუბიექტური შეხედუ-

⁴⁰ ჰპატაკობს ენაში ბოლო დროს გავრცელებული ფორმაა. ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონები ამ ფორმას არ იცნობს (მხოლოდ უპატაკებს ფორმა დასახელებული). ამდენად არც მისი (ჰპატაკობს ფორმის) მართებულობის საკითხი ისმის ამ ლექსიკონების მიხედვით.

⁴¹ ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1968; იხ. აგრ. ამავე ავტორების 1941, 1947 და 1949 წლებში გამოცემული სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონები.

⁴² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბილისი, 1955; ტ. VI, თბილისი, 1960 იხ. სათანადო სიტყვა-სტატები.

⁴³ გ. შალამბერიძე, მეტყველების კულტურის საკითხები, თბ., 1964, გვ. 81—82; მისივე, უტკბესი და უმწარესი, თბ., 1968, გვ. 142—144; მისივე, პედაგოგთა დასახმარებლად (პასუხი შეკითხვებზე): გაზ. „სახალხო განათლება“, 12.VII.74; მისივე, ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980, გვ. 42—47.

⁴⁴ გ. შალამბერიძე, პედაგოგთა დასახმარებლად (პასუხი შეკითხვებზე): გაზ. „სახალხო განათლება“, 12.VII.74, გვ. 3.

ლებისამებრ ცდილობს ერთპირიანი ზმნა ორპირიანად აქციოს, პირდაპირი ობიექტი გაუჩინოს მას⁴⁵. (ხაზი ყველგან ჩვენია. ვ. კ.).

მავედმყოფობს, მამაყობს და გამაყოფ ფორმათა შეუძლებლობა მპასუხობს, მკარანახობს, მსაყვედურობს ფორმათა არამართებულობის დამამტკიცებელ საბუთად რომ ვერ გამოდგება, სადავო არ უნდა იყოს. ის პასუხობს, კარანახობს და საყვედურობს ფორმები, რომლებიც უპასუხებს, უკარანახებს, უსაყვედურებს ფორმათა ფუნქციით იმარებთან, არ არიან და არც შეიძლება იყვნენ ერთპირიანები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფორმები კონტექსტში უპასუხებს, უკარანახებს, უსაყვედურებს ფორმათა მაგივრობას ვერ გასწევდნენ. უპასუხებს, უკარანახებს, უსაყვედურებს ზმნათა ირიბი (და არა: პირდაპირი) იხ. მოყვანილი ციტატები) ობიექტი მხოლოდ შინაარსობრივად კი არ უკავშირდება პასუხობს, კარანახობს, საყვედურობს ზმნებს, არამედ მორფოლოგიურ გამოხატულებას იძენს ზმნაში. ამას ადასტურებს მპასუხობს, მკარანახობს, მსაყვედურობს... ფორმები. სხვა საკითხია, თუ რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს ამ ფორმებს სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, გრამატიკულად კი ისინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთო ენობრივი სისტემიდან გამონაკლისს არ წარმოადგენენ. შდრ. მპატრონობს, მღალატობს, მთავაზობს... ფორმები.

აქვე შევნიშნავთ, რომ გ. შალამბერიძისაგან განსხვავებით ჩვენ საგნებით მართებულად გვესახება პასუხობს ზმნის გამოყენება ასეთ კონტექსტებში: ტელეფონი არ პასუხობს, ცუდად პასუხობს, კარგად პასუხობს⁴⁶. ეს პასუხობს ზმნის ერთპირიანად გამოყენების შემთხვევებია (პასუხობს ზმნის ერთპირიანად გამოყენების შესახებ დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი).

პასუხობს და სხვა ამგვარ სადავო ფორმათა გამოყენება, რამდენადაც ისინი ორაზროვნების თავიდან აცილების შესაძლებლობას გვაძლევენ, ენაში გავრცელებულობის გამო გამართლებულად მიაჩნია ზ. ჭუმბურიძეს. მისი აზრით, ეს ფორმები საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნათა მსგავსად არის ნაწარმოები, „ა) ფართოდ არის გავრცელებული ხალხის სასაუბრო მეტყველებაში და არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე დიალექტის კუთვნილებას.

ბ) ამ ფორმათა გაჩენა გამოწვეულია აწმყოსა და მყოფადის გამოიჯვნის საჭიროებით, იგი თავიდან გვაცილებს ორაზროვნებას, ხელს უწყობს აზრის უფრო ნათლად გამოხატვას.

⁴⁵ გ. შალამბერიძე, ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, გვ. 44—45.

⁴⁶ გ. შალამბერიძე, პედაგოგთა დასახმარებლად: გაზ. „სახალხო განათლება“, 12.VII.74, გვ. 3.

გ) სალიტერატურო ენაში დიდი ხანია უკვე დამკვიდრებულია ანალოგიურად ნაწარმოები მრავალი ზმნა, რომელთაგან ზოგი გარდაუვალია, ზოგიც გარდამავალი.

ყოველივე ამის გამო ეს ფორმები არ შეიძლება ჩაითვალოს უკანონოდ და სალიტერატურო ენისათვის მიუღებლად. მათი ხმარება სალიტერატურო ენის ნორმებით დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული⁴⁷.

გ. შალამბერიძის აზრით კი, „მართალია, აწმყო და მყოფადი ერთმანეთს ჰვავს, მაგრამ მათი აღრევა არასოდეს არ ხდება. კონტექსტით ყოველთვის შესაძლებელია გაირკვეს, რას გამოხატავს ზმნა — აწმყოსა თუ მყოფადს“⁴⁸. და კიდევ: „აწმყოსა და მყოფადის განურჩევლობის გამო „უპასუხებს“ და მისი ტიპის დანარჩენ ზმნებს ვერ დავიწუნებთ“⁴⁹.

მართალია, მხოლოდ აწმყოსა და მყოფადის განურჩევლობის გამო ამ ფორმებს ვერ დავიწუნებთ, მაგრამ არც იმის უგულებელყოფა იქნება მართებული, რომ ერთი და იმავე ფორმის სხვადასხვა ფუნქციით გამოყენებას ენაში ყოველთვის გარკვეული სიძნელეები ახლავს.

უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს, უპატაკებს ფორმათა გამოყენებას სხვა სიძნელეებიც ახლავს. ფორმა ზმნისა კონტექსტში ირიბი ობიექტის ფარდ სახელს ითხოვს („ზმნის აგებულებაში სათანადოდ უკუფენილია წინადადების შედგენილობა“⁵⁰), ამ სახელის დასახელება კი გადმოსაცემი შინაარსის მიხედვით ყოველთვის აუცილებელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ **პასუხი, კარნახით ნათქვამი, საყვედური, პატაკი** ყოველთვის ვიდაცისთვის არის გამიზნული, ისეთი კონტექსტებიც გვხვდება, როცა კონკრეტული სიტუაციის მიხედვით ეს პირი ამბის უშუალო მონაწილედ არ ივარაუდება. კონტექსტი ზმნის ირიბობიექტურ პირთან მიმართების თვალსაზრისით ნეიტრალურია. ეს წინააღმდეგობას ქმნის ზმნის ბუნებრივ სინტაქსურ კონსტრუქციასა და კონტექსტს შორის. **უპასუხებს, უკარნახებს, უპატაკებს** ზმნებს ენაში არ მოეპოვებათ ისეთი ფორმა, რომელიც მათ ირიბობიექტური პირის უქონლობით დაუპირისპირდებოდა. არადა, ასეთ ფორმათა საჭიროება ნამდვილად იგრძნობა. **შდრ.: ჭარბობს ის და სჭარბობს ის მას; ჭირს ის და სჭირს ის მას; ჯობს ის და სჯობს ის მას; ძევს ის და უძევს**

47 ზ. ჭუმბურიძე, პასუხობს და უპასუხებს: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1979, № 2, გვ. 112.

48 გ. შალამბერიძე, ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, გვ. 43.

49 იქვე, გვ. 45.

50 არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქველ, I, თბილისი, 1950, გვ. 057.

ის მას; ძლებს ის და უძლებს ის მას; თამაშობს ის და უთამაშებს ის (წარბი) მას... ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა „მეტყველება წრის“ ზმნებიც. მაგ.: იტყვის და ეტყვის; თქვა და უთხრა (ძვ. ქართ. ჰრქუა); იკითხა და ჰკითხა; ბრძანა და უბრძანა. ყოველი წყვილის ცალი ზემოთ დასახელებული ზმნებისა ერთმანეთისაგან ირიბობიექტური პირის ქონება-უქონლობით განირჩევა.

ქეგლ-ში უსაყვედურებს ფორმის მოცილე **საყვედურობს** ფორმასთან ერთად ისეთი **საყვედურობს** ფორმაც არის დასახელებული, რომელსაც ასეთი მნიშვნელობა აქვს: **საყვედურს ამბობს**. ამ მნიშვნელობით ზმნას ირიბობიექტური პირი არ შეეწყობა, მაგ.: „სწორედ იმ დროს, როცა ორი დარბაისელი მამა-შვილი ბუხრის წინ საყვედურობდნენ, თეიმურაზ მეფე მართლა ჩაკეტილში იჯდა მარტომარტო“ (აკაკი).

ამ მნიშვნელობით **საყვედურობს** ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც არის შეტანილი. შესაფერის კონტექსტებში შეუძლებელი არ უნდა იყოს **პასუხობს**, **კარნახობს**, **პატაკობს** ფორმათა გამოყენება ასეთი მნიშვნელობებით: **პასუხს იძლევა**, **კარნახით ამბობს**, **პატაკს იძლევა**. ამ გაგებით **პასუხობს**, **კარნახობს**, **პატაკობს** ზმნებს ირიბი ობიექტი არ შეეწყობა. თუკი **პასუხობს**, **კარნახობს**, **პატაკობს** ზმნები **უპასუხებს**, **უკარნახებს**, **უპატაკებს** ზმნებს ირიბი ობიექტის უქონლობით დაუპირისპირდებიან, მაშინ ენაში მათი გამოყენების გამართლება სავსებით შესაძლებელი იქნება. ამ ფორმათა სალიტერატურო ენისათვის დასაშვებ ფორმებად მიჩნევა **უპასუხებს**, **უკარნახებს**, **უპატაკებს** ზმნათა მოხმარებასთან დაკავშირებულ ბევრ უხერხულობას აგვაცილებდა თავიდან.

სხვათა შორის, **ჰპასუხობს**, **ჰკარნახობს**... ფორმები ირიბ ობიექტთან მიმართების თვალსაზრისით ვაცილებით უფრო ნეიტრალურნი არიან, ვიდრე **უპასუხებს**, **უკარნახებს**... ფორმები, რადგან **ჰ-** და **ს-** პირის ნიშნები ისე მკვეთრად არასოდეს არ უსვამს ხაზს კონტექსტში ირიბი ობიექტის არსებობას, როგორც **უ** მაქცევარი.

აქ არ შევუძღვებით მსჯელობას იმის შესახებ, თუ რამდენი პირი შეეწყობა **პასუხობს** ტიპის ზმნებს. ფუძის აგებულებით ეს ზმნები ერთპირიანი გარდაუვალი, სტატიკური ზმნებია, თუმცა სპეციალური ლიტერატურის მიხედვით კონტექსტების მონაცემების საფუძველზე არც სხვაგვარი გაგების შესაძლებლობაა გამორიცხული. ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ **უპასუხებს** და მის მოცილე **ჰპასუხობს** ტიპის ზმნებს ირიბი ობიექტი შეეწყობა, **პასუხობს** ტიპის ზმნებს კი — არა. ამრიგად, **უპასუხებს** //

